



# მასაჟისტ-რეაბილიტატორი

---

პროფესიული სტანდარტი

**1. პროფესიის დასახელება (ქართულად):**  
მასაჟისტ-რეაბილიტატორი.

**2. პროფესიის დასახელება (ინგლისურად):**  
Massage therapist-rehabilitator.

**3. პროფესიული სტანდარტის კოდი:** 090656

**4. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი:** 09104-ს

**5. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით – 2264**

**6. პროფესიის აღწერა:**

მასაჟისტ-რეაბილიტატორი სპეციალური მექანიკური მანიპულაციებით (სამასაჟე ილეთები) ასრულებს დოზირებულ ზემოქმედებას უშუალოდ ადამიანის სხეულის ზედაპირზე ხელებით, ფეხებით, ასევე ტექნიკური საშუალებებით (აპარატები) ადამიანის ფუნქციური, ესთეტიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, გაჯანსაღებისა და შრომისუნარიანობის გაზრდის მიზნით.

**7. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:**

მასაჟისტ-რეაბილიტატორის ტიპურ სამუშაო გარემოს წარმოადგენს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ოთახი. მასაჟისტ-რეაბილიტატორს უნდა ჰქონდეს ფეხზე დგომის შესაძლებლობა არანაკლებ 2 საათის განმავლობაში და ასევე დახრილ მდგომარეობაში ყოფნის შესაძლებლობა (არანაკლებ 60 წთ). რიგი დაავადებებისა უკუნაჩვენებია მასაჟისტ-რეაბილიტატორისათვის: არტერიული ჰიპერტენზია, გულის დაავადებები, ნერვული დაავადებები, ხშირი გულისწასვლა, სმენის დაქვეითება, ვესტიბულაციის მოშლა, მოძრაობის კოორდინაციის მოშლა, ხელის კანკალი, მეტყველების დაზიანება, ხერხემლის დაავადებები, ქრონიკული ინფექციები და კანის დაავადებები, ალერგია, შაქრიანი დიაბეტი, გამოხატული ფიზიკური ნაკლი, ფსიქიკური დაავადებები.

მასაჟისტ-რეაბილიტატორის დასაქმების ადგილებია სპაცენტრები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, სპორტული დარბაზები და სპორტული კლუბები, აუზები, ესთეტიკური ცენტრები, რეაბილიტაციის ცენტრები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, ჰიგიენური პროფილის სალონები, სკოლები, სასტუმროები, ცეკვის სტუდიები, ოფისები, კურორტები, ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებები, ბინაზე მომსახურება ექიმი-რეაბილიტოლოგის დანიშნულებით.

**8. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:**  
(კანონმდებლობით არ არის დადგენილი).

**9. კვალიფიკაციის დონე ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით:**  
მეხუთე

**10. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:**

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1.	პაციენტის მდგომარეობის შეფასება	1.1. წარუდგენს პაციენტს თავის თავს 1.2. ეცნობა პაციენტის ჩივილებსა და მოთხოვნებს 1.3. ეცნობა პაციენტის მონაცემებს 1.4. ათვალთვლებს პაციენტს გარეგნულად 1.5. ახდენს პაციენტის მოლოდინის იდენტიფიცირებას

		1.6. აწარმოებს კონსულტაციებს სხვა პროფესიონალებთან (საჭიროების შემთხვევაში)
2.	სამასაჟე პროცედურის ორგანიზება	2.1. ამზადებს საპროცედურო ოთახს მასაჟის ჩასატარებლად 2.2. ამზადებს პაციენტს პროცედურისათვის 2.3. ემზადება პროცედურის ჩასატარებლად 2.4. ამყარებს პაციენტთან კომუნიკაციას საჭიროების შემთხვევაში 2.5. ასრულებს სამასაჟე პროცედურას 2.6. წარუდგენს ანგარიშს ადმინისტრაციას
3.	კლასიკური მასაჟი ძირითადი საბაზო ტექნიკის/ილეთების გამოყენებით	3.1. აკონტროლებს პროცედურისათვის პაციენტის მზადყოფნას 3.2. ატარებს სხეულის კლასიკური მასაჟის სრულ პროცედურას წესების დაცვით და ძირითადი საბაზო ტექნიკის/ილეთების გამოყენებით 3.3. უწევს პაციენტს (აუცილებლობის შემთხვევაში) გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას სტანდარტის მიხედვით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში 3.4. დროულად რეაგირებს შექმნილ/შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციაზე
4.	სამკურნალო მასაჟი	4.1. აკონტროლებს პროცედურისათვის პაციენტის მზადყოფნას 4.2. ატარებს სამკურნალო მასაჟის პროცედურას (სხვადასხვა ტიპის) ჩვენებათა დიაგნოზისა და უკუჩვენებების გათვალისწინებით, ექიმი-რეაბილიტოლოგის დანიშნულებით 4.3. აუცილებლობის შემთხვევაში უწევს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას სტანდარტის მიხედვით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში 4.4. დროულად რეაგირებს შექმნილ/შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციაზე
5.	სარელაქსაციო მასაჟი	5.1. აკონტროლებს პროცედურისათვის პაციენტის მზადყოფნას 5.2. ატარებს სარელაქსაციო მასაჟის პროცედურას (ნაირსახეობა) 5.3. აუცილებლობის შემთხვევაში უწევს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას სტანდარტის მიხედვით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში 5.4. დროულად რეაგირებს შექმნილ/შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციაზე
6.	სხეულის მოვლის/სპაპროცედურები	6.1. აკონტროლებს პროცედურისათვის პაციენტის მზადყოფნას 6.2. ატარებს სხეულის მოვლის/სპა- და საკორექციო პროცედურებს 6.3. აუცილებლობის შემთხვევაში უწევს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას სტანდარტის მიხედვით, თავისი კომპეტენციის

		<p>ფარგლებში</p> <p>6.4. დროულად რეაგირებს შექმნილ/შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციაზე</p>
7.	სამასაჟე პროცედურის ჩატარება აპარატული მეთოდებით	<p>7.1. აკონტროლებს პროცედურისათვის პაციენტის მზადყოფნას</p> <p>7.2. ატარებს სამასაჟე პროცედურებს აპარატული მეთოდებით</p> <p>7.3. აუცილებლობის შემთხვევაში უწევს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას სტანდარტის მიხედვით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში</p> <p>7.4. დროულად რეაგირებს შექმნილ/შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციაზე</p>
8.	პაციენტის ინფორმირება	<p>8.1. ამყარებს პაციენტთან უკუკავშირს</p> <p>8.2. აწვდის პაციენტს შემდგომ რეკომენდაციებს</p> <p>8.3. აწვდის ინფორმაციას პაციენტს მკურნალობის შესაძლო გვერდითი მოვლენების შესახებ</p> <p>8.4. აცნობს პაციენტს სამომავლო მკურნალობის გეგმას</p> <p>8.5. სთავაზობს პაციენტს გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს</p> <p>8.6. აცნობს პაციენტს თავის უფლებებსა და ვალდებულებებს</p>
9.	პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა	<p>9.1. შეიმუშავებს პირად მისიას (პროფესიული განვითარების გეგმის ჩამოყალიბება)</p> <p>9.2. ახდენს გამოცდილებაზე დაფუძნებით გამოყენებული ტექნიკის გადაფასებას</p> <p>9.3. ზრუნავს პროფესიული ცოდნის მუდმივ ზრდაზე</p> <p>9.4. იმაღლებს კვალიფიკაციას კომპეტენციის ფარგლებში მომიჯნავე სპეციალობებში (ეთიკა, დენტოლოგია, ფსიქოლოგია)</p>
10.	საზოგადოებისა და პროფესიისათვის მომსახურების გაწევა	<p>10.1. წევრიანდება პროფესიულ ორგანიზაციებში</p> <p>10.2. უწევს მენტორობას ახალბედა პრაქტიკოსებს</p> <p>10.3. ეწევა მასაჟისტის, როგორც პროფესიის, აგიტაციას</p> <p>10.4. ზრუნავს საკუთარი, როგორც მასაჟისტი პროფესიონალის, ფიზიკური ფორმისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის</p>

**11. პიროვნული თვისებები:**

- ემპათიური
- კონცენტრაციის უნარი
- ყურადღებიანი
- მომთმენი
- უკონფლიქტო
- კეთილსინდისიერი
- შემოქმედებითი
- კომუნიკაბელური

**12. ხელსაწყოები, დანადგარები, მასალა:**

სამასაჟე დივანი და მაგიდა, სამასაჟე სკამი, ლილვაკი (სპეციალური ბალიშები), სამასაჟე პროცედურისათვის აუცილებელი ნივთების შესანახავი კარადა, ერჯერადი თეთრეული (ზეწარი, საფარი, ქუდი, ქვედა საცვალი, პირსახოცი), ელექტროსაბანი, შესაფუთავი მასალა, სამასაჟე ზეთები, საცხები, ტალკი, სამედიცინო კოტონშები, არომატული სანთლები და ზეთები, სამასაჟე აპარატები და დანადგარები (ვიბრომასაჟორი დაბალ სიხშირეზე და ოპტიმალური ამპლიტუდის (20 ჰერცი), ჩხვლეტია ხალიჩა, ტანვარჯიშის ჯოხი, სავარჯიშე ლეიბები, დიდი ბურთები, მექანოთერაპიის აპარატები, ტერფებით მასაჟის ჩასატარებელი ტურნიკეტი, პრესოთერაპიის აპარატი), სარკე, ცხელი პირსახოცის სათავსი, ცხელი ქვები, ყინულის პაკეტები, მაცივარი, სამედიცინო ხელთათმანები, საწმენდი საშუალებები, სადუზინფექციო საშუალებები, პირველადი დახმარების აფთიაქი (სტანდარტის მიხედვით), არტერიული წნევის საზომი აპარატი (სფიგმომანომეტრი), პროცედურული (ქვიშის) საათები, შირმა, პროცედურების აღრიცხვის ფორმები (სარეგისტრაციო ჟურნალი).

**13. პროფესიის სამომავლო ტენდენციები:**

- ფართო საზოგადოების მხრიდან მასაჟით დაინტერესების ზრდა
- მასაჟისტების ასოციაციის ჩამოყალიბება
- მასაჟის შემსწავლელი სკოლების გავრცელება
- რეგულაციების გაზრდის პოტენციური შესაძლებლობები

**14. პროფესიული ცოდნა და უნარები:**

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	<b>პაციენტის მდგომარეობის შეფასება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის მასაჟის მეთოდების ნაირსახეობა</li> <li>• იცის მასაჟის ზემოქმედება ადამიანზე</li> <li>• იცის მოსალოდნელი შედეგები, მასაჟის ჩვენებები და უკუჩვენებები</li> <li>• იცის ადამიანის გარეგანი დათვალერების წესები</li> <li>• იცის ადამიანის ნორმალური ანატომია ფიზიოლოგიის საფუძვლებით</li> <li>• იცის პათოლოგიისა და დერმატოლოგიის საფუძვლები</li> <li>• იცის ადამიანის ჯანმრთელობის ამსახველი ძირითადი პარამეტრების მნიშვნელობა</li> <li>• იცის ალერგოლოგიური ანამნეზის შეგროვების წესები</li> <li>• იცის ტოლერანტობის ნიშნების განსაზღვრა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია პაციენტის მონაცემების შეგროვება და მიღებული მონაცემების გაანალიზება</li> <li>• შეუძლია გამოკითხვის კორექტულად ჩატარება და კონფიდენციალობის დაცვა</li> <li>• შეუძლია იმ პათოლოგიების ამოცნობა, რომლებიც უკუჩვენებს იძლევიან მასაჟის დროს</li> <li>• შეუძლია პაციენტთან ინდივიდუალური მიდგომა</li> </ul>
2.	<b>სამასაჟე პროცედურის ორგანიზება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის სამასაჟე კაბინეტის მოწყობა სანიტარიულ-ჰიგიენური და ერგონომიული ნორმების</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ოთახის სანიტარიული და ერგონომიული მდგომარეობის შემოწმება, ნორმების</li> </ul>

		<p>დაცვით</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის სამასაჟე კაბინეტის აუცილებელი აღჭურვილობა- დანადგარების ჩამონათვალი</li> <li>• იცის ტექნიკური დანადგარების გამოყენების წესები უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარიული ნორმების დაცვით</li> <li>• იცის მასაჟის წინ ხელების დამუშავების სანიტარიული ნორმები</li> <li>• იცის მასაჟის წარმოშობის ისტორია, მასაჟის ტენდენციები და სიახლეები</li> <li>• იცის მასაჟის ჩატარების ქცევითი ნორმები</li> <li>• იცის ადმინისტრაციის წინაშე ანგარიშგების მეთოდები</li> <li>• იცის ორგანიზაციის შინაგანაწესი მასაჟის პროცედურის განხორციელებისას</li> </ul>	<p>შესაბამისად</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია სამუშაო გარემოს ორგანიზება შრომის დაცვის, ინფექციური და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვით</li> <li>• შეუძლია გახარჯული მასალისა და მარაგის განსაზღვრა</li> </ul>
3.	<p><b>კლასიკური მასაჟი და ძირითადი საბაზო ტექნიკის/ილეთების გამოყენება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის პაციენტის სამასაჟე მაგიდაზე განთავსების წესები, პროცედურის თანახმად</li> <li>• იცის კანის დამუშავების წესები და მასალა, პროცედურის თანახმად</li> <li>• იცის ადამიანის სხეულის ტოპოგრაფიული ანატომია კომპეტენციის ფარგლებში</li> <li>• იცის კუნთების დაჭიმულობისა და მოდუნების ნიშნები</li> <li>• იცის სამასაჟე მოძრაობების ინტენსივობის შერჩევა, მდგომარეობის შესაბამისად</li> <li>• იცის კლასიკური მასაჟის ჩატარების წესები</li> <li>• იცის კლასიკური მასაჟის ილეთები (თელვა, სრესვა, ხელსმა, რხევები, დარტყმითი მოძრაობები, აქტიური და პასიური</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია კლასიკური მასაჟის სრულფასოვნად, ყველა წესის დაცვით ჩატარება</li> <li>• შეუძლია საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა</li> </ul>

		<p>მოძრაობები)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის კლასიკური მასაჟის ჩატარებისას სამასაჟე მოძრაობების მიმართულუბა და მათი ინტენსივობა</li> <li>• იცის ანატომია ფიზიოლოგიის საფუძვლებით</li> <li>• იცის სამედიცინო დეონტოლოგიის საფუძვლები</li> <li>• იცის პირველადი დახმარების აღმოჩენა კომპეტენციის ფარგლებში</li> </ul>	
4.	<b>სამკურნალო მასაჟი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის სამკურნალო მასაჟის ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე, ამოცანები და მეთოდები</li> <li>• იცის სამკურნალო მასაჟის ნაირსახეობები: წერტილოვანი, საბავშვო, ფეხმძიმეების, რეფლექტორული ვაკუუმმასაჟი, ლიმფოდრენაჟი, სპორტული, აღდგენითი მანიპულაციები, სხვადასხვა დაავადების დროს (ტრავმატოლოგიური, ნევროლოგიური, თანდაყოლილი ან შეძენილი ტანდევობის დარღვევების დროს, ბრტყელტერფიანობის დროს)</li> <li>• იცის სამკურნალო მასაჟის ჩატარების წესები და თავისებურებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში</li> <li>• იცის სამკურნალო მასაჟის ჩატარების დროს სიფრთხილის აუცილებლობა</li> <li>• იცის ნევროლოგიური დაავადებები კომპეტენციის ფარგლებში</li> <li>• იცის ორთოპედია-ტრავმატოლოგიის საფუძვლები კომპეტენციის ფარგლებში</li> <li>• იცის ძვალსახსროვანი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ყურადღებით მოუსმინოს ექიმ-რეაბილიტოლოგს და გააანალიზოს ჩასატარებელი მასაჟის ზუსტი ინსტრუქციები</li> <li>• შეუძლია სუბორდინაციის დაცვა ექიმთან მიმართებაში</li> <li>• შეუძლია სამკურნალო მასაჟის მართებულად ჩატარება</li> <li>• შეუძლია საჭიროების შემთხვევაში პაციენტისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენა</li> </ul>

		<p>დაავადებები მოზრდილებსა და ბავშვებში კომპეტენციის ფარგლებში</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის მეანობა-გინეკოლოგიის საფუძვლები კომპეტენციის ფარგლებში</li> <li>• იცის რეფლექტორული ზემოქმედების არსი, მნიშვნელობა და ეფექტები</li> <li>• იცის პედიატრიის საფუძვლები კომპეტენციის ფარგლებში</li> <li>• იცის მანუალური თერაპიის ილეთების გამოყენება სამედიცინო მასაჟის ჩატარებისას</li> <li>• იცის დეონტოლოგიის საფუძვლები</li> <li>• იცის სამედიცინო დეონტოლოგიის საფუძვლები</li> <li>• იცის პირველადი დახმარების აღმოჩენა კომპეტენციის ფარგლებში</li> </ul>	
5.	სარელაქსაციო მასაჟი	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის სარელაქსაციო მასაჟის ძირითადი სახეობების ჩატარების წესები (ნეიროსედატიური მასაჟი, ცხელი ქვებით მასაჟი, არომათერაპია)</li> <li>• იცის სამედიცინო დეონტოლოგიის საფუძვლები</li> <li>• იცის პირველადი დახმარების აღმოჩენა კომპეტენციის ფარგლებში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია სარელაქსაციო მასაჟის ძირითადი სახეობების მართებულად ჩატარება</li> <li>• შეუძლია საჭიროების შემთხვევაში პაციენტისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენა</li> </ul>
6.	სხეულის მოვლის/სპაპროცედურები	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის სხეულის მოვლის და სპაპროცედურების ძირითადი მეთოდები, ეფექტები, ჩატარების წესები</li> <li>• იცის სამედიცინო დეონტოლოგიის საფუძვლები</li> <li>• იცის პირველადი დახმარების აღმოჩენა კომპეტენციის ფარგლებში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია სხეულის მოვლის/სპა-ან საკორექციო პროცედურის მართებულად შერჩევა</li> <li>• შეუძლია სხეულის მოვლის, სპა- და საკორექციო პროცედურების მართებულად ჩატარება</li> <li>• შეუძლია საჭიროების შემთხვევაში პაციენტისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენა</li> </ul>
7.	სამასაჟე პროცედურის ჩატარება აპარატული	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის სამასაჟე პროცედურების ჩატარებისას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია სამასაჟე პროცედურის აპარატული მეთოდის</li> </ul>



	<b>მეთოდებით</b>	<p>ძირითადი აპარატული მეთოდების (ვიბრომასაჟი, პრესოთერაპია, წყალქვეშა მასაჟი) არსებობა და მათი მნიშვნელობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის სამასაჟე პროცედურების ჩატარებისას აპარატული მეთოდების ზემოქმედება</li> <li>• იცის აპარატული მეთოდებით სამასაჟე პროცედურების ჩატარების წესები</li> <li>• იცის სამედიცინო დეონტოლოგიის საფუძვლები</li> <li>• იცის პირველადი დახმარების აღმოჩენა კომპეტენციის ფარგლებში</li> </ul>	<p>მართებულად შერჩევა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია მასაჟის მართებულად ჩატარება აპარატული მეთოდების გამოყენებით</li> <li>• შეუძლია საჭიროების შემთხვევაში პაციენტისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენა</li> </ul>
8.	<b>პაციენტის ინფორმირება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის პაციენტთან უკუკავშირის დამყარების წესები</li> <li>• იცის მკურნალობის სავარაუდო შედეგები</li> <li>• იცის სასურველი შედეგების მიღწევის მეთოდები</li> <li>• იცის სახლის პირობებში (დამოუკიდებლად) მიღწეული შედეგის შენარჩუნების მეთოდები</li> <li>• იცის მკურნალობის ყველა გვერდითი მოვლენის არსებობა</li> <li>• იცის გვერდითი მოვლენების თავიდან აცილების მეთოდები</li> <li>• იცის ოპტიმალური სამკურნალო გეგმის შედგენა პრობლემის გადასაჭრელად საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია მასაჟის დროს შესაძლო გვერდითი მოვლენების განსაზღვრა და მათი თავიდან აცილება</li> <li>• შეუძლია მკურნალობის გეგმის შედგენა</li> <li>• შეუძლია საჭიროების შემთხვევაში პაციენტისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენა</li> </ul>
9.	<b>პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცნობს პროფესიულ გარემოს</li> <li>• იცის საკუთარი ცოდნის ხარისხი</li> <li>• იცის ახალი ტენდენციები, მათი გამოყენების აუცილებლობა და შესწავლის გზები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ძველი და ახალი დარგობრივი მეთოდოლოგიების შეფასება</li> <li>• შეუძლია დარგობრივი ინფორმაციის მოძიება და შესწავლა</li> </ul>
10.	<b>საზოგადოებისა და</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის ადგილობრივ და</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია პროფესიული</li> </ul>

	<p><b>პროფესიისათვის სამსახურის გაწევა</b></p>	<p>საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებთან კონტაქტის დამყარება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის, როგორ გაუზიაროს სხვებს საკუთარი გამოცდილება და ცოდნა</li> <li>• იცის, რა არის საჭირო ეფექტიანი მენტორობისათვის</li> </ul>	<p>ორგანიზაციების მოძიება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია პროფესიულ ორგანიზაციებში გაწევრიანება</li> <li>• შეუძლია საკუთარი ცოდნის გაზიარება</li> <li>• შეუძლია ქველმოქმედების გაწევა საკუთარ სფეროში.</li> </ul>
--	--	--	--

15. სტანდარტის მოქმედების ვადა:  
2 წელი.

**16. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრები:**

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1.	ეკატერინე ფუტკარაძე	შპს P&N (კლუბი 71), სპა-მენეჯერი
2.	ზაია კონდრატიევა	ესთეტიკური ცენტრი "ლოტუსი", PR მენეჯერი
3.	ქეთევან იაკობაშვილი	ესთეტიკური რეაბილიტაციის ცენტრი „აურა პლუსი“, მასაჟისტი
4.	ლელა ელიაძე	სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“, მასაჟისტი
5.	ნაზი ბორაშვილი	„ელიტა-მედი“, მასაჟისტი
6.	ეკა ქალაიშვილი	კლინიკა "მედი", მასაჟისტი
7.	ეკატერინე შიხიაშვილი	აკადემიკოს ო. ლუდუმურის სახელობის სამედიცინო ცენტრი, მასაჟისტი
8.	თამარ მიმინოშვილი	სამედიცინო ცენტრი „ოჯახის მკურნალი“, მასაჟისტი
9.	ანა სოსელია	შპს „ლაბელ მედიკალი“, მასაჟისტი
10.	ალექსანდრე გუგუშვილი	სამედიცინო ცენტრი „ოჯახის მკურნალი“, მასაჟისტი
11.	ნათია ნოღაიძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
12.	რუსუდან მერმანიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი
13.	თამთა გორგაძე	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი

## შეფასების სტანდარტი

**პროფესიის დასახელება:** მასაჟისტ-რეაბილიტატორი

### ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლებისა და/ან არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი ეფუძნება კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს. ის განსაზღვრავს სტანდარტში ასახული პროფესიული ცოდნისა და უნარების შეფასებისა და დადასტურების აუცილებელ პირობებს:

1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების ტერმინებში; 2. კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებშიც ასახულია აუცილებელი პროფესიული ცოდნა და უნარები;

3. კომპეტენციების დადასტურებისათვის გამოყენებულ მტკიცებულებებს.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს შეფასების პროცესის განხორციელების მიდგომებს.

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

არაფორმალური განათლების აღიარების მიზნებისათვის გამოიყენება წინამდებარე დოკუმენტის მესამე ნაწილში (ნაწილი 3. შეფასების პროცესი და კომპონენტები) აღწერილი პროცედურები. შედეგები აისახება თანდართულ ფორმებში, რომლებიც დანართის სახით ახლავს დოკუმენტს.

### ნაწილი 2. შეფასების კრიტერიუმები

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
<b>პროფესიული მოვალეობა 1: პაციენტის მდგომარეობის შეფასება</b>	
1.1. წარუდგენს პაციენტს საკუთარ თავს	1.1.1. სწორად აღწერს პაციენტთან შეხვედრისას გაცნობის წესებს
	1.1.2. სწორად აღწერს ეფექტური კომუნიკაციის დამყარების მეთოდებს
	1.1.3. სწორად მეტყველებს რომელიმე უცხო ენაზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში
	1.1.4. სწორად იქმნის პროფესიულ იმიჯს პირველივე შეხვედრისას და იმსახურებს ნდობას
1.2. ეცნობა პაციენტის ჩივილებსა და მოთხოვნებს	1.2.1. სწორად ჩამოთვლის სამასაჟე პროცედურების სახეობებს
	1.2.2. სწორად განსაზღვრავს ტოლერანტობის ნიშნებს

	1.2.3. გარკვევით ეკითხება პაციენტს ჩივილების შესახებ
	1.2.4. გარკვევით ადგენს, რა სახის პროცედურის ჩატარება სურს პაციენტს
	1.2.5. გარკვევით ეკითხება, რა შედეგის მიღწევა სურს პაციენტს
	1.2.6. ზუსტად ადგენს პაციენტის მოლოდინს პროცედურასთან დაკავშირებით
1.3. ეცნობა პაციენტის მონაცემებს	1.3.1. სწორად აღწერს ადამიანის ჯანმრთელობის ამსახველი ძირითადი პარამეტრების მნიშვნელობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში
	1.3.2. სწორად აღწერს ყველა მეთოდის ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობასა და ესთეტიკურ მნიშვნელობაზე
	1.3.3. სწორად აგროვებს მონაცემებს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ალერგოანამნეზი-კომპეტენციის ფარგლებში და ზოგადად)
	1.3.4. ზუსტად ადგენს მსგავსი პროცედურების ჩატარების წინა გამოცდილებას
	1.3.5. ადგენს პაციენტის სამუშაო პირობებს
	1.3.6. ზუსტად ადგენს პაციენტის ფიზიკური აქტივობის ხარისხს
1.4. ათვალთვლებს პაციენტს გარეგნულად	1.4.1. სწორად აღწერს ადამიანის ნორმალური ანატომიის ფიზიოლოგიის საფუძვლებს
	1.4.2. სწორად აღწერს ადამიანის პათოლოგიის ფორმებს
	1.4.3. სათანადოდ იცის დერმატოლოგიის საფუძვლები
	1.4.4. ეცნობა პაციენტის სახის გამომეტყველებას (მიმიკა, სახის ფერი, ნაოჭების სიმეტრიულობა და სხვა)
	1.4.5. ეცნობა პაციენტის აღნაგობას და სწორად აფასებს მის ფიზიკურ მონაცემებს
	1.4.6. სწორად აფასებს პაციენტის კანის მდგომარეობას და კანზე არსებულ უხეშ ნაწიბურებს, კელოიდებს, ხალებს, თმიან ნაწილებს, ლოკალურ სოკოვან უბნებს
	1.4.7. სწორად აფასებს პაციენტის სისხლძარღვების მდგომარეობას

	1.4.8. სწორად აფასებს კუნთებისა და ძვალ-სახსროვანი სისტემის მდგომარეობას
	1.4.9. სწორად აფასებს ლიმფური სისტემის მდგომარეობას
	1.4.10. განსაზღვრავს პროცედურის ჩატარების ჩვენებისა და უკუჩვენებების არსებობას
1.5. შეიმუშავებს მეთოდებს და ახორციელებს პაციენტის მოლოდინის იდენტიფიცირებას	1.5.1. ზუსტად აღწერს მასაჟისა და მეთოდების სახეებს
	1.5.2. სწორად აანალიზებს პაციენტის მონაცემებს
	1.5.3. ზუსტად ირჩევს პროცედურის მეთოდს
	1.5.4. გარკვევით უხსნის პაციენტს, რა მეთოდით ჩატარდება პროცედურა
	1.5.5. გარკვევით, არგუმენტირებულად და დამაჯერებლად უხსნის პაციენტს სავარაუდო შედეგებს
	1.5.6. იღებს პაციენტისაგან ინფორმაციულ თანხმობას სამასაჟე პროცედურის ჩასატარებლად
	1.5.7. პაციენტს უნერგავს რწმენას სასურველი შედეგის მიღწევაში
1.6. აწარმოებს კონსულტაციებს სხვა პროფესიონალებთან (საჭიროების შემთხვევაში)	1.6.1. სწორად განსაზღვრავს თავისი კომპეტენციის ფარგლებს
	1.6.2. სწორად ასახელებს საკუთარ პროფესიონალურ შეზღუდვებს
	1.6.3. სწორად მიმართავს პროფესიონალს რჩევისათვის კონკრეტულ შემთხვევაში
	1.6.4. ზუსტად უხსნის სპეციალისტს პრობლემის არსს
	1.6.5. სათანადოდ იყენებს პროფესიონალურ რჩევას
<b>პროფესიული მოვალეობა 2: სამასაჟე პროცედურის ორგანიზება</b>	
2.1. ამზადებს საპროცედურო ოთახს მასაჟის ჩასატარებლად	2.1.1. სწორად ჩამოთვლის სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს კაბინეტის მოწყობასთან დაკავშირებით
	2.1.2. ამოწმებს ოთახს სანიტარული და ერგონომიული (ტემპერატურული რეჟიმი, განათება, ვენტილაცია) ნორმების შესაბამისად
	2.1.3. ამოწმებს პროცედურის ჩასატარებლად საჭირო აღჭურვილობის მარაგს
	2.1.4. ამოწმებს საჭირო ტექნიკური საშუალებების

	გამართულობას, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დაცვით
	2.1.5. სანიტარული ნორმების შესაბამისად, ამუშავებს დანადგარებს
	2.1.6. რთავს სპეციალურად შერჩეულ მუსიკას
2.2. ამზადებს პაციენტს პროცედურისათვის	2.2.1. სწორად ჩამოთვლის სამასაჟე პროცედურისათვის პაციენტის მომზადების წესებს, შინაგანაწესის მიხედვით
	2.2.2. სწორად ჩამოთვლის პროცედურის ჩატარების წინ აუცილებელ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს
	2.2.3. ზუსტ ინფორმაციას აწვდის პაციენტს წინასამასაჟე მომზადების თაობაზე სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დასაცავად
	2.2.4. სათანადოდ აკონტროლებს და თავს არიდებს საკომუნიკაციო ბარიერების წარმოქმნას (მობილური ტელეფონის გათიშვა პროცედურის დროს)
2.3. ემზადება პროცედურის ჩასატარებლად	2.3.1. სწორად ჩამოთვლის პირადი ჰიგიენის დაცვის წესებს
	2.3.2. ორგანიზაციის შიდა სტანდარტების შესაბამისად, იცვამს მოწესრიგებულ უნიფორმას
	2.3.3. ემორჩილება ორგანიზაციის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ჩაცმულობის სტილს (დრეს-კოდს)
	2.3.4. იცავს პირად ჰიგიენას (ივარცხნის თმას, იხსნის ზედმეტ (არსებობის შემთხვევაში) სამკაულს, იცილებს ზედმეტ მაკიაჟს, იბანს ხელებს და სხვა
	2.3.5. სწორად ახდენს კონცენტრირებას პროცედურაზე
2.4. ამყარებს პაციენტთან კომუნიკაციას, საჭიროების შემთხვევაში	2.4.1. სწორად აღწერს მასაჟის ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე და მის ეფექტებს
	2.4.2. სათანადოდ აღწერს მასაჟის ისტორიასა და სიახლებს
	2.4.3. სწორად ატარებს მასაჟს ვერბალური კომუნიკაციის დამყარებით ან მის გარეშე
	2.4.4. სათანადოდ იყენებს მასაჟის შესახებ თეორიულ ცოდნას, საჭიროებიდან გამომდინარე

2.5. ასრულებს სამასაჟე პროცედურას	2.5.1. ზუსტად ასახელებს სხვადასხვა მასაჟის ხანგრძლივობას, შინაგანაწესის თანახმად
	2.5.2. ზუსტად ასრულებს პაციენტის გაცილების პროცედურას დანიშნულ დროს (შიდა სტანდარტის თანახმად)
	2.5.3. მადლობას უხდის პაციენტს მოზრმანებისთვის და ინტერესდება მისი შეგრძნებებით
	2.5.4. ახსენებს პაციენტს მისი სამკაულების აღების შესახებ
	2.5.5. აცილებს პაციენტს მოსასვენებელ ზონაში
	2.5.6. ამზადებს ოთახს შემდეგი პაციენტისათვის
2.6. წარუდგენს ანგარიშს ადმინისტრაციას	2.6.1. სწორად განმარტავს ორგანიზაციის მიერ დადგენილი ფორმების შევსების წესსა და ვადებს
	2.6.2. სისტემატურად აღრიცხავს ყველა ჩატარებულ პროცედურას
	2.6.3. ზუსტად და ორგანიზებულად ახორციელებს საპროცედურო აღრიცხვას
<b>პროფესიული მოვალეობა 3: კლასიკური მასაჟი ძირითადი საბაზო ტექნიკის/ილეთების გამოყენებით</b>	
3.1. აკონტროლებს პროცედურისათვის პაციენტის მზადყოფნას	3.1.1. აღწერს პაციენტის კონტროლის მექანიზმს, სამასაჟე მაგიდაზე განთავსების დადგენილი პროცედურის შესაბამისად
	3.1.2. ზუსტად იცის კანის დამუშავების წესები და მასალები, პროცედურის შესაბამისად
	3.1.3. სწორად აღწერს ადამიანის ტოპოგრაფიულ ანატომიას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში
	3.1.4. ამოწმებს სამასაჟე მაგიდაზე პაციენტის სწორ განთავსებას, პროცედურის თანახმად
	3.1.5. სათანადოდ ამზადებს პაციენტის კანს მასაჟისათვის, ამუშავებს სპეციალური ზეთებით ან სხვა მასალით პაციენტის კანის ზემოქმედების არეალზე
	3.1.6. სწორად ადგენს ანატომიურ საზღვრებს პროცედურის ჩასატარებლად

	3.1.7. სწორად აფასებს კუნთების მოდუნების ხარისხს
3. 2. ატარებს სრული სხეულის კლასიკური მასაჟის პროცედურას	3.2.1. სწორად აღწერს კლასიკური მასაჟის ჩატარების წესებს
	3.2.2. სწორად აღწერს კლასიკური მასაჟის ილეთებს
	3.2.3. სწორად ახორციელებს პაციენტის დაჭიმული მგრძნობიარე უბნების იდენტიფიცირებას
	3.2.4. სწორად ირჩევს სამასაჟო მოძრაობებსა და ილეთებს
	3.2.5. სწორად ირჩევს სამასაჟო მოძრაობების მიმართულებას
	3.2.6. ზუსტად იცავს პაციენტთან ურთიერთობის ეთიკის, დეონტოლოგიისა და მორალის ნორმებს
3.3. უწევს პაციენტს (აუცილებლობის შემთხვევაში) გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, სტანდარტის მიხედვით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში	3.3.1. ზუსტად განსაზღვრავს პირველადი დახმარების აუცილებლობას
	3.3.2. სწორად აყალიბებს პირველადი დახმარების გეგმას, სიტუაციიდან გამომდინარე
	3.3.3. ზუსტად მოქმედებს შემუშავებული გეგმის თანახმად
	3.3.4. გარკვევით აწვდის ინფორმაციას სასწრაფოს, ექიმს, ოჯახის წევრს
3.4. დროულად რეაგირებს შექმნილ/შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციაზე	3.4.1. ზუსტად ამოიცნობს კონფლიქტური სიტუაციების განვითარებას
	3.4.2. გარკვევით აყალიბებს წარმოშობილი კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვის გეგმას
	3.4.3. სწორად და ადეკვატურად რეაგირებს კონფლიქტურ სიტუაციებზე
	3.4.4. ზუსტად მოქმედებს შემუშავებული გეგმის თანახმად, კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად
<b>პროფესიული მოვალეობა 4: სამკურნალო მასაჟი</b>	
4.1. აკონტროლებს პროცედურისათვის პაციენტის მზადყოფნას	4.1.1. ამოწმებს სამასაჟე მაგიდაზე პაციენტის სწორ განთავსებას, პროცედურის თანახმად



	4.1.2. ამზადებს პაციენტის კანს მასაჟისათვის, ამუშავებს სპეციალური ზეთებით ან სხვა მასალით პაციენტის კანის ზემოქმედების არეალზე
	4.1.3. ადგენს ანატომიურ საზღვრებს პროცედურის ჩასატარებლად
4.2. ატარებს სამკურნალო მასაჟის პროცედურას (სხვადასხვა ტიპის) ჩვენებათა დიაპაზონისა და უკუჩვენებების გათვალისწინებით, ექიმ-რეაბილიტატორის დანიშნულებითა და მეთვალყურეობით	4.2.1. სწორად განმარტავს სამკურნალო (სამედიცინო) მასაჟის ზემოქმედებას ადამიანის ჯანმრთელობაზე, ამოცანებს, მეთოდებსა და ჩატარებისას სიფრთხილის აუცილებლობას
	4.2.2. სწორად ჩამოთვლის სამკურნალო მასაჟის სახეებს
	4.2.3. სათანადოდ აღწერს სხვადასხვა დაავადებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში
	4.2.4. სწორად განმარტავს აუცილებელ სამედიცინო ტერმინოლოგიას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში
	4.2.5. სწორად აყალიბებს მედიცინის სხვადასხვა დარგის საფუძვლებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში
	4.2.6. სწორად ხსნის რეფლექტორული ზემოქმედების არსს, მნიშვნელობასა და ეფექტებს
	4.2.7. სწორად აღწერს მანუალური თერაპიის ილეთებს
	4.2.8. სწორად ასრულებს ექიმის დანიშნულ სამედიცინო მასაჟის პროცედურას, ექიმ-რეაბილიტატორის ზუსტი ინსტრუქციების შესაბამისად
	4.2.9. იცავს სუბორდინაციას ექიმთან მიმართებით
	4.2.10. ზუსტად იცავს პაციენტთან ურთიერთობის ეთიკის, დეონტოლოგიისა და მორალის ნორმებს
4.3. აუცილებლობის შემთხვევაში, უწევს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას სტანდარტის მიხედვით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში	4.3.1. ზუსტად განსაზღვრავს პირველადი დახმარების აუცილებლობას
	4.3.2. სწორად აყალიბებს პირველადი დახმარების გეგმას, სიტუაციიდან გამომდინარე
	4.3.3. ზუსტად მოქმედებს შემუშავებული გეგმის თანახმად
	4.3.4. გარკვევით აწვდის ინფორმაციას სასწრაფოს, ექიმს, ოჯახის წევრს
4.4. დროულად რეაგირებს შექმნილ/შესაძლო კონფლიქტურ	4.4.1. ზუსტად ამოიცნობს კონფლიქტური სიტუაციების განვითარებას

სიტუაციაზე	4.4.2. გარკვევით აყალიბებს წარმოშობილი კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვის გეგმას
	4.4.3. სწორად და ადეკვატურად რეაგირებს კონფლიქტურ სიტუაციებზე
	4.4.4. ზუსტად მოქმედებს შემუშავებული გეგმის თანახმად, კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად
<b>პროფესიული მოვალეობა 5: სარელაქსაციო მასაჟი</b>	
5.1. აკონტროლებს პროცედურისათვის პაციენტის მზადყოფნას	5.1.1. ამოწმებს სამასაჟე მაგიდაზე პაციენტის სწორ განთავსებას, პროცედურის თანახმად
	5.1.2. ამზადებს პაციენტის კანს მასაჟისათვის, ამუშავებს სპეციალური ზეთებით ან სხვა მასალით პაციენტის კანის ზემოქმედების არეალზე
	5.1.3. ადგენს ანატომიურ საზღვრებს პროცედურის ჩასატარებლად
5.2. ატარებს სარელაქსაციო მასაჟის პროცედურას	5.2.1. სწორად აღწერს სარელაქსაციო მასაჟის თავისებურებებს
	5.2.2. სწორად ასახელებს სარელაქსაციო მასაჟის ჩატარების წესებს
	5.2.3. სწორად ირჩევს სარელაქსაციო მასაჟისათვის მოძრაობებს, მათ ინტენსივობასა და ტემპს მასაჟის ჩასატარებლად, პაციენტის ინდივიდუალური თავისებურებისა და მისი ემოციური ფონის შესაბამისად
	5.2.4. სწორად არჩევს არომატებს არომათერაპიის ჩასატარებლად
	5.2.5. სწორად ამზადებს ცხელ ქვეს მასაჟის ჩასატარებლად
	5.2.6. სწორად ირჩევს სამასაჟო მოძრაობების მიმართულებას
	5.2.7. ზუსტად იცავს პაციენტთან ურთიერთობის ეთიკის, დეონტოლოგიისა და მორალის ნორმებს
5.3. აუცილებლობის შემთხვევაში, უწევს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას სტანდარტის მიხედვით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში	იხ. 3.3.1.- 3.3.4. შესრულების კრიტერიუმები

5.4. დროულად რეაგირებს შექმნილ/შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციაზე	იხ. 3.4.1-3.4.4. შესრულების კრიტერიუმები
<b>პროფესიული მოვალეობა 6 : სხეულის მოვლის/ პროცედურები</b>	
6.1. აკონტროლებს პროცედურისათვის პაციენტის მზადყოფნას	იხ. 3.1.1.-3.1.4. შესრულების კრიტერიუმები
6.2. ატარებს სხეულის მოვლის/SPA- და საკორექციო პროცედურებს	6.2.1. სწორად განმარტავს სხეულის მოვლისა და SPA-მეთოდებსა და მათ შესაბამის ეფექტს
	6.2.2. სწორად ჩამოთვლის სხეულის მოვლისა და SPA-პროცედურის ჩატარების წესებს
	6.2.3. სწორად არჩევს სხეულის მოვლის მეთოდებს (ფილინგი, შეფუთვა, საკორექციო, ანტიცელულიტური მასაჟი, აბაზანები, არომათერაპია), პაციენტის საჭიროების შესაბამისად
	6.2.4. სწორად ატარებს შერჩეულ SPA-პროცედურას, წესებისა და დროის ლიმიტის დაცვით
